



## სიცოცხლე გრძელდება

*ინგა ჩიქოვანი, ქ. ქუთაისი*

მე მოსული ვარ, რომ გითხრათ, სიცოცხლე გრძელდება, და მე არ ვწუწუნებ. სიზმარში ვარ და მატარებელი სადღაც შორს მიმაქროლებს, მიმაქროლებს, მაგრამ დრო კიდევ მაქვს, რომ ვიფიქრო, გავიხსენო, მოვეფერო, გამოვადგე... მაგრამ ვის, როდის, როგორ...

მართლაც რომ ძალიან ძნელი ყოფილა ხანდაზმულობა, ის ძალა აღარ გაქვს, დღეს ხანდაზმული ხარ, შენ გჭიდება დახმარება, მაგრამ შენც გინდა რომ გახალისდე, მათთან ერთად, ვინც გეხმარება და გინდა რომ შეგეძლოს ღირსებით დაიღალო. უმწეო არ გნახონ. არ გინდა...

ხანშიშესულობა, ხანდაზმულობა, ბერიქალობა და ბერიკაცობა შევიშნოთ ღირსება და შემწყნარებლობა არ დაგვარგოთ და ყველას გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდობა მალე მიდის და ქრება. ისინი კი ვინც სიბრალულით შეგვცქერის, მალე ჩვენსავით იფიქრებს ცხოვრების ამაოებაზე

მე არ ვიცოდი რა იყო დარდი,  
ახალგაზრდობა ვატარე ტკბილად,  
სად მომეპარა სიბერის ლანდი,  
სად გაქრა ჩემი სიცოცხლის დილა?  
იქნებ ორი ფრთა მიაფრენს წყვილად  
იქნებ გაქროლა რაშით ფარულად?  
დავდივარ ვეძებ, გაპარულს ფრთხილად  
ვერ გამიგია საით წასულა!

მიქრის ჩვენი მატარებელი, ვაგონი, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ, სავსეა ხანდაზმულებით.

რა უცებ გვეწვია სიბერე, თითქოს ღვინით სავსე ფიალა ვიყოთ, ისე თანდათან გვსრუტავს წუთისოფელი. რა კარგი იყო ახალგაზრდობა. ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსეები, ლამაზები, მშობლების დამჯერნი, როცა დედაჩემი მახსენდება ჩემი ცხოვრება შვლის ნუკრს მაგონებს, როგორ მზრდიდა ჩემი დედა, როგორ დავყვებოდი ყველგან ხელჩაკიდებული, როგორ მაცნობდა და მასწავლიდა ქართულ ტრადიციებს, დედამამიშვილურ სიყვარულს, ხანდახან სულში მძიმედ რაღაც მომაწვება და დიდი ლოდინით გულზე დამაწვება, როცა ჩემი დის აცრემლებულ თვალებს ვიხსენებ, რომელიც ბოროტი ხალხიდან წამებული მიწაზე ეგდო, უგონოდ, რომ არა ეს ბედისწერა ახლა მარტო ხომ არ ვიქნებოდი? მიუხედავად ამისა, ვამაყობ ჩემი წარსულით, პროფესიით პედაგოგი ვარ აღზრდილი მყავს მრავალი წარმატებული ადამიანი, ისინი უცხო ენას ვაზიარე, სიბერეში მათი იმედი მქონდა, მაგრამ მაინც მარტო ვგრძნობდი თავს რომ არა ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი, ეს ცენტრი კი არა სავანეა, სადაც სულიერ სიმშვიდეს ვპოულობთ.

## Life Continues

Inga Chikovani, Kutaisi

I would like to say that life continues and I have no complaints... I had a dream where a train carried me somewhere far but I still had some time left to think, to remember, to caress, to be useful... But whom, when, how...?

Old age appears to be really very difficult, you are not that strong any longer, you are an old person today and need some help but you also want to have some fun with those who help you and you don't want to get tired... Not to be helpless... You do not want...

Old age, old man, old woman... We should retain dignity and not lose compassion. We all should remember that youth goes away and disappears too soon and those who looked at us with pity will soon think about the futility of life.

I did not know what grief was,  
I sweetly spent my young days,  
How the shadow of age approached,  
Where the morning of my life disappeared?  
Maybe two wings took it away  
Or it secretly rode by on a horse?  
Trying to find it, secretly gone,  
Do not understand where it is gone!

Our train rushes away and the carriage we sit in is full of old people.

Old age came soon... We are like a full cup of wine and life is sipping us. How good youth was. We were once young, full of life, beautiful, obedient. When I remember my mother, I feel like a fawn from *The Story Told by a Fawn* by Vazha Pshavela. I remember how she looked after me and how we went together everywhere, how she taught me Georgian traditions, to love my parents... Sometimes my heart is heavy and there is a burden in my heart when I remember my sister's eyes, full of tears, when she was lying unconscious because of the cruelty of people... If it was not for this bad luck, I would not be alone... Despite this I am proud of my past; I am a teacher by profession and have taught many successful people. I taught them a foreign language and I hoped they would help me but I still find myself alone. The Social Centre of Old People helped me a lot to feel differently. It is not a centre but a haven where I find a spiritual peace.